ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 11
25/03/2019

11-08-4-201903251622

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 272.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.016.01.508) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლები ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი“-ს (ს/კ - 441994816) საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 272.30 კვ.მ.

არასაცხოვრებელი ფართის (თანდართული მეორე სართულის გეგმის მიხედვით) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.016.01.508) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა